

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება

1. 107² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107². იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევები

იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსის 143¹, 143², 186-ე, 192-ე, 194-ე, 194¹, 195-ე, 200³, 221-ე, 224¹, 227¹, 227², 231¹, 255¹, 260-ე–271-ე, 322², 323-ე–330-ე, 330¹, 330², 331¹, 339-ე, 339¹, 344¹, 364-ე, 365-ე, 372-ე და 406-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.“

2. 195-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობისას ,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.“

3. 195-ე მუხლს დამატოს შენიშვნა შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიზნებისათვის სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საშუალებებით: ფასთა კოტირება, ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი“.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით ან ჯარიმით.

4. 195-ე მუხლის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიზნებისათვის სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას „სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საშუალებებით: გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი, კონკურსი.“

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით ან ჯარიმით.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი, ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი